



არქიტექტურული დეტალების მძერწავ- ფორმატორი

პროფესიული სტანდარტი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018 წელი

1. დასახელება (ქართულად): არქიტექტურული დეტალების მძერწავ-ფორმატორი
2. დასახელება (ინგლისურად): Moulder and modeller of the architectural details
3. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:
4. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით: 7314
5. დასაქმების სფეროს აღწერა: არქიტექტურული დეტალების მძერწავ-ფორმატორის პროფესია, არქიტექტურული და დიზაინერული სამუშაოების შესრულების პროცესში აუცილებელი რგოლია. იგი მოიცავს: არქიტექტურული დეტალების ესკიზის შესრულებას, პროექტის წაკითხვას, შაბლონის შექმნას მასშტაბის მიხედვით, ძერწვას, ყალიბის აღებას, სხვადასხვა მასალაში ჩამოსხმასა და არქიტექტურული დეტალის მონტაჟს.
6. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები: არქიტექტურული დეტალების მძერწავ-ფორმატორი მუშაობს ისეთ გარემოში, სადაც არის დახურული შენობა, რომელიც უზრუნველყოფილია სპეციალური ინფრასტრუქტურით. დანადგარების მუშაობის დროს შენობაში არის საშუალო ხმაური. შეიძლება დასაქმდეს: სამშენებლო ობიექტზე, დიზაინის სტუდიაში, სარესტავრაციო სახელოსნოში და არქიტექტურულ სახელოსნოებში.
7. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები: კანონმდებლობით დადგენილი არ არის.
8. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1	საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	1.1. აღმოუჩენს/უზრუნველყოფს პირველად გადაუდებელ დახმარებას/დახმარების გაწევას; 1.2. იცავს პირად და სამუშაო ადგილის სანიტარულ/ჰიგიენურ ნორმებს; 1.3. იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს; 1.4. იცავს გარემოს დაცვით ნორმებს; 1.5. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; 1.6. იცავს სამუშაო ადგილის მოწყობის ერგონომიკურ ნორმებს.
2	სამუშაო ადგილის ორგანიზება	2.1. ამზადებს ესკიზის შესასრულებლად საჭირო სამუშაო ადგილს; 2.2. ამზადებს შაბლონის შესასრულებლად საჭირო სამუშაო ადგილს;

		<p>2.3. ამზადებს ძერწვისათვის საჭირო სამუშაო ადგილს;</p> <p>2.4. ამზადებს ყალიბის მოსამზადებლად საჭირო სამუშაო ადგილს;</p> <p>2.5. ამზადებს დეტალის ჩამოსხმისათვის საჭირო სამუშაო ადგილს;</p> <p>2.6. ამზადებს არქიტექტურული დეტალის მონტაჟისათვის საჭირო სამუშაო ადგილს.</p>
3	ხატვისა და ფერწერის ტექნიკური ხერხების გამოყენებით ჩანახატების შექმნა	<p>3.1. ირჩევს ხატვისა და ფერწერისათვის საჭირო ხელსაწყო იარაღებსა და მასალას;</p> <p>3.2. ხატავს ფანქრით მარტივ ტექნიკურ ხერხებს;</p> <p>3.3. ანაწილებს ნახატს კომპოზიციურად;</p> <p>3.4. ხატავს სხვადასხვა საგნებს ნატურიდან;</p> <p>3.5. ხატავს წყლის საღებავებით.</p>
4	შაბლონის შექმნა	<p>4.1. ქმნის არქიტექტურული დეტალის ესკიზს;</p> <p>4.2. ხაზავს არქიტექტურულ დეტალს;</p> <p>4.3. განსაზღვრავს ესკიზისა და ნახაზის მიხედვით შაბლონის მასშტაბს;</p> <p>4.4. გადააქვს ლითონის ფურცელზე პროფილი;</p> <p>4.5. ამზადებს პროფილს.</p> <p>4.6. ამაგრებს შაბლონს ხის ჩარჩოზე;</p> <p>4.7. ამზადებს დაზგას დეტალის ზომის შესაბამისად.</p>
5	არქიტექტურული დეტალების ძერწვა	<p>5.1. ირჩევს ძერწვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებსა და მასალას;</p> <p>5.2. ძერწავს მარტივ დეტალებს;</p> <p>5.3. აკეთებს დეტალის კარკასს;</p> <p>5.4. ძერწავს არქიტექტურული დეტალის ფორმას;</p> <p>5.5. ამოწმებს გამოძერწილ მოდელს ზომებში კორექტირებისთვის.</p>
6	ყალიბის დამზადება	<p>6.1. ამზადებს მოდელს საყალიბედ;</p> <p>6.2. არჩევს ყალიბის სახეობის აღების მეთოდს;</p> <p>6.3. ამზადებს არქიტექტურული დეტალის</p>

		<p>ყალიბის საცხს;</p> <p>6.4. ამზადებს ყალიბს;</p> <p>6.5. ხსნის ყალიბს დეტალისგან;</p> <p>6.6. ასუფთავებს ყალიბს.</p>
7	ჩამოსხმა სხვადასხვა მასალაში	<p>7.1. განსაზღვრავს ჩამოსხმული მასალის სახეობას;</p> <p>7.2. ამზადებს ყალიბს მასალის ჩასასხმელად;</p> <p>7.3. ამზადებს შერწყმული მასალის ხსნარს ყალიბში ჩასასხმელად;</p> <p>7.4. ასხამს მასალას ყალიბში;</p> <p>7.5. აყოლებს მეტალის კაუჭს ყალიბში სამონტაჟოდ;</p> <p>7.6. ათავისუფლებს მიღებულ მოდელს ყალიბიდან.</p>
8	არქიტექტურული დეტალების მონტაჟი	<p>8.1. ახდენს არქიტექტურული დეტალის შეფუთვას;</p> <p>8.2. არგებს დამუშავებულ არქიტექტურულ დეტალს მოცემულ სივრცეში;</p> <p>8.3. განსაზღვრავს მონტაჟისთვის საჭირო მეთოდს;</p> <p>8.4. ახორციელებს მონტაჟს;</p> <p>8.5. აკეთებს დამონტაჟებული დეტალის ზედაპირულ დამუშავებას.</p>

9. პიროვნული თვისებები:

- შემოქმედებითი
- ორგანიზებული
- მიზანდასახული
- პასუხისმგებლობიანი

10. მატერიალური რესურსი

ა) ინვენტარი, აღჭურვილობა : ელ.ბურღი (დრელი), ჩაქუჩი, ბრტყელტუჩა, რკინის საჭრელი ხერხი, ელ. ცირკულარი (ბალგარკა), ხის საჭრელი ელ. ხერხი, ელ. შესადუღებელი აპარატი-„კემპი“, სილიკონის დასატანი შპრიცი, სათლი ვედრო, დიდი რეზინის ჯამი, ბურღის მიქსერი, წყლის გასაზავებელი ჭურჭელი, ორგმინა, სტეკის კომპლექტი, ფოლადის საფითხნი (უჟანგავი შპატელი), ფანქრების ნაკრები, სათლელი, ფუნჯები.

ბ)მასალა, ნედლეული თიხა, პლასტელინი, თაბაშირი, ცემენტი, ხელოვნური ბოჭკო, სილიკონი, გამომწვარი მავთული, ფიცარი, ფანერა 8- 10მმ-იანი, საპრიალებელი საცხი (მასტიკა), ჭურჭლის ჟელე, თუნუქის ფურცელი 2მმ-იანი, ფუნჯები, მუყაო, ქვიშა, წებო, რკინის ბადე, სამონტაჟო სამარჯვები, ფასადის შპაკლი, ღრუბელი (შესაფუთი), ნახერხი, თოკი, ხელთათმანი, ვატმანის ფურცელი, აკვარელი, ტუმის კალამი, გუაში, საშლელი.

უსაფრთხოების საშუალებები: ცეცხლმაქრები, ჩაფხუტი, პირბადე, ხელთათმანი, პირველადი სამედიცინო გადაუდებელი დახმარების ნაკრები.

11. სამომავლო ტენდენციები:

ტექნიკური სიახლეების დანერვა დარგში.

12. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • პირველადი მოხმარების მედიკამენტების გამოყენების წესები • ჭრილობის პირველადი დამუშავების წესები • მოტეხილობის დროს პირველადი დახმარების წესები • ელექტრო დენით მიყენებული დაზიანების დროს პირველადი დახმარების წესები • პირადი ჰიგიენის ნორმები • სანიტარული ნორმები • პირადი ნივთების მოხმარების წესები • სამუშაო ადგილისა და ხელსაწყო-დანადგარების გასუფთავების წესები • შრომის უსაფრთხოების წესები • ხანძარსაწინააღმდეგო წესები • ხელსაწყო-იარაღების, დანადგარებისა და კიბე/ხარაჩოების გამართულობის შემოწმების წესები • გარემოს დაცვის წესები • ბუნების 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პირველადი მოხმარების მედიკამენტების გამოყენება • ჭრილობის პირველადი დამუშავება • მოტეხილობის დროს პირველადი დახმარება • ელექტრო დენით მიყენებული დაზიანების დროს პირველადი დახმარება • პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა • სანიტარული ნორმების დაცვა • პირადი ნივთების მოხმარება • სამუშაო ადგილისა და ხელსაწყო-დანადგარების გასუფთავება • შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა • ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა • ხელსაწყო-იარაღების, დანადგარებისა და კიბე/ხარაჩოების გამართულობის შემოწმება • გარემოს დაცვა • ბუნების მოვლა/გაფრთხილება

		<p>მოვლა/გაფრთხილების წესები</p> <ul style="list-style-type: none"> • ეთიკის დაცვის წესები • გუნდური მუშაობის წესები • დამკვეთთან ეთიკური კომუნიკაციის ნორმები • სამუშაო ადგილის ერგონომიკის ნორმები • ელექტრო განათების განაწილების წესები • ინვენტარის მოწყობის წესები 	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკის ნორმების დაცვა • გუნდური მუშაობა • დამკვეთთან კომუნიკაცია ეთიკის ნორმების დაცვით • ერგონომიკის ნორმების დაცვა • ელექტრო განათების სწორი განაწილება • ინვენტარის კომფორტულად მოწყობა
2.	სამუშაო ადგილის ორგანიზება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ესკიზის შესასრულებლად საჭირო ადგილის შერჩევის წესები • ესკიზის შესასრულებლად საჭირო ინვენტარის სახეები • სამხატვრო ინვენტარის განლაგების წესები • შაბლონის შესასრულებლად საჭირო ადგილის შერჩევის წესები • შაბლონის შესასრულებლად საჭირო ინვენტარის სახეები • შაბლონის შესასრულებლად საჭირო ინვენტარის განლაგების წესები • ძერწისათვის საჭირო ადგილის შერჩევის წესები • ძერწისათვის საჭირო ინვენტარის სახეები • ძერწისათვის საჭირო ინვენტარის განლაგების წესები • ყალიბის მოსამზადებლად საჭირო ადგილის შერჩევის წესები • ყალიბის მოსამზადებლად საჭირო ინვენტარის სახეები • ყალიბის მოსამზადებლად საჭირო ინვენტარის განლაგების წესები • დეტალების ჩამოსხმისათვის საჭირო ადგილის შერჩევის წესები • დეტალების ჩამოსხმისათვის საჭირო ინვენტარის სახეები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ესკიზის შესასრულებლად საჭირო ადგილის შერჩევა • ესკიზის შესასრულებლად საჭირო ინვენტარის შერჩევა • სამხატვრო ინვენტარის განლაგება • შაბლონის შესასრულებლად საჭირო ადგილის შერჩევა • შაბლონის შესასრულებლად საჭირო ინვენტარის შერჩევა • შაბლონის შესასრულებლად ინვენტარის განლაგება • ძერწისათვის საჭირო ადგილის შერჩევა • ძერწისათვის საჭირო ინვენტარის შერჩევა • ძერწისათვის საჭირო ინვენტარის განლაგება • ყალიბის მოსამზადებლად საჭირო ადგილის შერჩევა • ყალიბის მოსამზადებლად საჭირო ინვენტარის შერჩევა • ყალიბის მოსამზადებლად საჭირო ინვენტარის განლაგება • დეტალების ჩამოსხმისათვის საჭირო ადგილის შერჩევა • დეტალების ჩამოსხმისათვის საჭირო ინვენტარის შერჩევა • დეტალების ჩამოსხმისათვის საჭირო ინვენტარის განლაგება • არქიტექტურული

		<ul style="list-style-type: none"> • დეტალების ჩამოსხმისათვის საჭირო ინვენტარის განლაგების წესები • არქიტექტურული დეტალის მონტაჟისათვის საჭირო ადგილის შერჩევის წესები • არქიტექტურული დეტალის მონტაჟისათვის საჭირო ინვენტარის სახეები • არქიტექტურული დეტალის მონტაჟისათვის საჭირო ინვენტარის განლაგების წესები 	<p>დეტალების მონტაჟისათვის საჭირო ადგილის შერჩევა</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურული დეტალის მონტაჟისათვის საჭირო ინვენტარის შერჩევა • არქიტექტურული დეტალის მონტაჟისათვის საჭირო ინვენტარის განლაგება
3.	<p>ხატვისა და ფერწერის ტექნიკური ხერხების გამოყენებით ჩანახატების შექმნა</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ხატვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და მასალის სახეები • ხატვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და მასალის მომზადების მეთოდები • ფანქრის დაჭერის პოზიციების წესები • ფანქრის სახეობები ინტენსიურობის მიხედვით • შტრიხების შესრულების მეთოდები • ვიზუალური კომპოზიციის ძირითადი კანონზომიერებები • მარტივი გეომეტრიული კომპოზიციების ხატვის ტექნიკური ხერხები • მარტივი თავისუფალი კომპოზიციის ხატვის ტექნიკური ხერხები • ნატურიდან საგნის გადმოხატვის მეთოდები • მოცემული მოდელის სივრცეში ფანქრით გაზომვის მეთოდი • სივრცეში გაზომილი მოდელის ფურცელზე აგების მეთოდი • მოდელის შუქ-ჩრდილების გამოყენებით მოცულობითი ფორმების ხატვის მეთოდი • ფერთმცოდნეობის 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ხატვისათვის (გრაფიკა, ფერწერა) ხელსაწყო იარაღებისა და მასალის შერჩევა • ხატვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და მასალის მომზადება • ფანქრის პოზიციებით დაჭერა • შეუძლია ფანქრის სახეობების შერჩევა • შტრიხების შესრულება • ხატვის ყველა კანონებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით ხატვა • მარტივი გეომეტრიული კომპოზიციების ხატვა • მარტივი თავისუფალი კომპოზიციების ხატვა • ნატურიდან საგნის გადმოხატვა • მოცემული მოდელის სივრცეში ფანქრით გაზომვა • სივრცეში გაზომილი მოდელის ფურცელზე აგება • მოდელის შუქ-ჩრდილების გამოყენებით მოცულობითი ფორმების ხატვა • ფერთმცოდნეობის პრინციპების განმარტება • ნატურმორტის ძირითადი თავისებურებების გარჩევა • ფურცელზე წყლის საღებავების დადება

		<p>პრინციპები</p> <ul style="list-style-type: none"> • ნატურმორტის ძირითადი თავისებურებები • ფურცელზე წყლის საღებავების დადების წესები • ფერთა გრადაციის შესრულების მეთოდები • ფერთა შერწყმის მეთოდები • აგებულ მოდელზე ფერის დადების მეთოდები • ნატურმორტის ფერში ხატვის ტექნიკური ხერხები 	<ul style="list-style-type: none"> • ფერთა გრადაციის შესრულება • ფერთა შერწყმა • აგებულ მოდელზე ფერის დადება • ნატურმორტის ფერში ხატვა
4.	შაბლონის შექმნა	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურული დეტალების სახეები • არქიტექტურული დეტალის ხატვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და მასალის სახეები • მარტივი ორნამენტის ხატვის ტექნიკური ხერხები • მცენარეული ორნამენტის ხატვის ტექნიკური ხერხები • რთული ფორმის ორნამენტის ხატვის ტექნიკური ხერხები • ხაზვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და მასალის სახეები • არქიტექტურული სტილის ეტაპები • კლასიკური ორდერების სახეები • ხაზვისათვის საჭირო ადგილის მომზადების წესი • ხაზვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და მასალის მომზადების მეთოდები • არქიტექტურული პროფილების ხაზვის მეთოდი • ფანჯრების არქიტექტურული დეტალის (თავსართები) ხაზვის მეთოდი • ანტიკური ორდერების ხაზვის მეთოდი 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურული დეტალების შერჩევა • არქიტექტურული დეტალის ხატვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და მასალის შერჩევა • მარტივი ორნამენტის ხატვა • მცენარეული ორნამენტის ხატვა • რთული ფორმის ორნამენტის ხატვა • ხაზვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და მასალი შერჩევა • არქიტექტურული სტილის ეტაპების გარჩევა • კლასიკური ორდერების შერჩევა • ხაზვისათვის საჭირო ადგილის მომზადება • ხაზვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და მასალის მომზადება • არქიტექტურული პროფილების ხაზვა • ფანჯრების არქიტექტურული დეტალის (თავსართები) ხაზვა • ანტიკური ორდერების ხაზვა • ნახაზის დაფერვა • დახაზული დეტალის დატუმვა • შაბლონის შექმნა • შაბლონის შესაქმნელად

		<ul style="list-style-type: none"> • ნახაზის დაფერვის მეთოდი • დახაზული დეტალის დატუმშვის ტექნიკური ხერხები • შაბლონის შექმნის მეთოდები • შაბლონის შესაქმნელად საჭირო მასალის სახეები • არქიტექტურული დეტალის გადიდების წესი • ლითონის სახეობები • ქაღალდის თარგის ლითონზე გადატანის წესი • მოდელის კონტურის ლითონის ფირფიტაზე გადატანის წესი • ლითონის ფირფიტიდან მოდელის ამოჭრის წესი • შაბლონის დამზადების წესი • მიღებული შაბლონის მონტაჟის წესი • დაზგის სრულყოფილად მომზადების წესი • დაზგასთან მუშაობის წესი 	<p>საჭირო მასალის შერჩევა</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურული დეტალის გადიდება • ლითონის სახეობების განსხვავება • ქაღალდის თარგის ლითონზე გადატანა • მოდელის ლითონის ფირფიტაზე კონტურების გადატანა • მოდელის ფირფიტიდან ამოჭრა • ფირფიტაზე გადატანა • შაბლონის მონტაჟი • დაზგის სრულყოფილად მომზადება • დაზგასთან მუშაობა
5.	<p>არქიტექტურული დეტალების ძერწვა</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამერწი მასალის სახეობები • სამერწი მასალის მომზადების წესი • სამერწი მასალის შეხამების ტექნოლოგია • ძერწვის მეთოდები • მარტივი გეომეტრიული სხეულების ძერწვის მეთოდები • გეომეტრიული სხეულების ასლის დამზადების მეთოდები • კარკასის დამზადების მეთოდები • კარკასის დასამზადებლად საჭირო ხალსაწყო-იარაღებისა და მასალის სახეები • მარტივი პროფილის მქონე ჰორიზონტალური შველირის დამზადების მეთოდი 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამერწი მასალის სახეობების გარჩევა • მასალის მომზადება • სამერწი მასალის შეხამება • ძერწვა • მარტივი გეომეტრიული სხეულების ძერწვა • გეომეტრიული სხეულების ასლის დამზადება • კარკასის დამზადება • კარკასის დასამზადებლად საჭირო ხალსაწყო-იარაღებისა და მასალის შერჩევა • მარტივი პროფილის მქონე ჰორიზონტალური შველირის დამზადება • მარტივი პროფილის მქონე პლაფონის დამზადება • მარტივი პროფილის მქონე თაღის ორნამენტის დამზადება

		<ul style="list-style-type: none"> • მარტივი პროფილის მქონე პლაფონის დამზადების მეთოდი • მარტივი პროფილის მქონე თაღის ორნამენტის დამზადების მეთოდი • საშუალო სირთულის მქონე ორნამენტის დამზადების მეთოდი • რთული ორნამენტის დამზადების მეთოდი • კაპიტელის დამზადების მეთოდი • კოპირების ხერხები • მიღებული მოდელის ნახაზთან შედარების მეთოდი 	<ul style="list-style-type: none"> • საშუალო სირთულის მქონე ორნამენტის დამზადება • რთული ორნამენტის დამზადების მეთოდი • კაპიტელის დამზადების მეთოდი • მოდელის კოპირება • მიღებული მოდელის ნახაზთან შედარება
6.	ყალიბის დამზადება	<p>იგის:</p> <ul style="list-style-type: none"> • საყალიბე ტიხრების მასალის ტიპები • საყალიბე დეტალების აღების წესი • ტიხრების ერთმანეთთან შეერთების წესი • ყალიბის აღების მეთოდი • ყალიბის სახეობები • არქიტექტურული დეტალის ყალიბის საცხის სახეები • არქიტექტურული დეტალის ყალიბის საცხის გამოყენების წესი • მოდელზე სახის წასმის წესი • ყალიბის დამზადების მეთოდები • მოდელის შესაბამისად ყალიბის დამზადების წესი • ყალიბის მოხსნის მეთოდები • ყალიბის დასუფთავების მეთოდი 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საყალიბე ტიხრების მასალის შერჩევა • საყალიბე დეტალების აღება • ტიხრების ერთმანეთთან შეერთება • ყალიბის აღება • ყალიბის შერჩევა • არქიტექტურული დეტალის ყალიბის საცხის შერჩევა • არქიტექტურული დეტალის ყალიბის საცხის გამოყენება • მოდელზე სახის წასმა • ყალიბის დამზადება • მოდელის შესაბამისად ყალიბის დამზადება • ყალიბის მოხსნა • ყალიბის დასუფთავება
7.	ჩამოსხმა სხვადასხვა მასალაში	<p>იგის:</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურული დეტალის ჩამოსასხმელად საჭირო მასალის სახეები • დედანის შესაბამისად ყალიბის აწყობის წესი • საყალიბე მასალის საცხის სახეობები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურული დეტალის ჩამოსასხმელად საჭირო მასალის შერჩევა • დედანის შესაბამისად ყალიბის აწყობა • საცხის სახეობის შერჩევა • აწყობილი ყალიბის

		<ul style="list-style-type: none"> • აწყობილი ყალიბის მჭიდროდ შეკვრის ხერხი • ყალიბში ჩასასხმელი ხსნარის დამზადების მეთოდები • ფორმის არმირების მეთოდები • ყალიბში ჩასხმის მეთოდები • მეტალის კაუჭის ჩაყოლების წესი • დეტალის ყალიბიდან უსაფრთხოდ ამოღების წესი 	<p>მჭიდროდ შეკვრა</p> <ul style="list-style-type: none"> • ყალიბში ჩასასხმელი ხსნარის დამზადება • მეტალის კაუჭის ჩაყოლება • დეტალის ყალიბიდან უსაფრთხოდ ამოღება
8.	არქიტექტურული დეტალების მონტაჟი	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურული დეტალის შეფუთვის მეთოდები • არქიტექტურული დეტალის უსაფრთხოდ სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსების წესი • არქიტექტურული დეტალის სივრცეში მორგების წესი • მონტაჟისთვის საჭირო მეთოდები • სიმძიმისა და მოცულობის მიხედვით სამაგრი მასალის სახეები • სამაგრით დეტალის დამაგრების წესი • კორექტირების წესები თარაზოს და შვეულის გამოყენებით • შემავსებლის გამაგრებისთვის(გამყარებისთვის) დროის განსაზღვრის ხერხები • გარე პირობების გათვალისწინებით დეტალის გასუფთავების მეთოდი • დეტალის ზედმეტი ნადებისაგან გაწმენდის წესი 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურული დეტალის შეფუთვა • არქიტექტურული დეტალის უსაფრთხოდ სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსება • არქიტექტურული დეტალის სივრცეში მორგება • მონტაჟისთვის საჭირო მეთოდების შერჩევა • სიმძიმისა და მოცულობის მიხედვით სამაგრი მასალის შერჩევა • სიმძიმისა და მოცულობის მიხედვით სამაგრი მასალის შერჩევა • თარაზოსა და შვეულის გამოყენებით დეტალის კორექტირება • შემავსებლის გამაგრებისთვის(გამყარებისთვის) დროის განსაზღვრა • გარე პირობების გათვალისწინებით დეტალის გასუფთავება • დეტალის ზედმეტი ნადებისაგან გაწმენდა

13. სტანდარტის მოქმედების ვადა: 5 წელი

14. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	თემურ ლომიძე	შპს „ლომი1961“, მოქანდაკე/არქიტექტორი
2	დავით მინდორაშვილი	შპს „მოქანდაკე 2010“, სპეციალისტი
3	ეკატერინე ორაგველიძე	შპს „ლომი1961“, მხატვარ-დეკორატორი
4	არჩილ ამირანაშვილი	მხატვართა კავშირი, მოქანდაკე
5	ზურა დიდმელაშვილი	მოქანდაკე
6	დავით ოდიშელიძე	შ.პ.ს. „პეგასუსი“, მძერწავი
7	ბექა ლაბაძე	შ.პ.ს. „პეგასუსი“, მძერწავი
8	მაია კობიაშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების ფასილიტატორი
9	ლაშა გონგლაძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, დარგის ფასილიტატორი

დასახელება: არქიტექტურული დეტალების მძერწავ-ფორმატორი

შეფასების სტანდარტი

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებს და ამოცანებში;
2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომელიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნას და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;
4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა)
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით
- გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) სამიხედო კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად,

ა) დასაშვებია ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია სამიხედო კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის შინაარსობრივი შესწავლის მიზნით ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამღიარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლებიც/რომელთა ერთობლიობაც შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის

შეფასების დაწყებამდე გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს
- შეფასების ინსტრუმენტებს

- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს
- შეფასების კრიტერიუმებს

შეფასების პროცესში:

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებელისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი

შეფასების დასრულებისას:

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

ნაწილი 3. შეფასების პროცედურა

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

ნაწილი 4 : თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა

გამოკითხვა

გამოკითხვის ფორმა:

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით
- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს

გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:

არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება;

მოპოვებული მტკიცებულებები:

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით, ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.

თეორიული საგამოცდო თემატიკა:

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- ა) პირადი ჰიგიენის და სანიტარული ნორმები;
- ბ) არქიტექტურული დეტალების სახეები;
- გ) არქიტექტურული სტილის განვითარების ეტაპები;
- დ) კლასიკური ორდერების სახეები;
- ე) საშუალო და რთული სირთულის მქონე ორნამენტის, კაპიტელის ძერწვის მეთოდი;
- ვ) არქიტექტურული დეტალისათვის საჭირო ყალიბის მასალის სახეები;
- ზ) არქიტექტურული დეტალის მასალა.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებებით:

პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება

საგამოცდო გარემო:

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.
საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

მოპოვებული მტკიცებულებები:

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:

დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება:

- ა) არქიტექტურული დეტალის ესკისის შექმნა;
- ბ) არქიტექტურული დეტალის ნახაზის შექმნა;
- გ) არქიტექტურული დეტალის ძერწვა;
- დ) არქიტექტურული დეტალის ყალიბის დამზადება;
- ე) არქიტექტურული დეტალის ჩამოსხმა;
- ვ) არქიტექტურული დეტალის მონტაჟი.

გაითვალისწინეთ:

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის, ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული.
2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროების შემთხვევაში მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია

შემფასებლის ჩანაწერების ფორმები

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

დადასტურებული კომპეტენცია	მტკიცებულებები		
	ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:
დადასტურება: